ხობის მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი
გამოდის 1932 წლის 12 ივნისიდან

№ 8 (7018) * 31 მარტი * სამშაბათი * 2010 წელი * ფასი 50 თეთრი

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ოფიციალურ თარიღად

# 30 მაისი გამოცხადდა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ოფიციალურ თარიღად მიმდინარე წლის 30 მაისი გამოცხადდა.

ამის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 30 მარტის № 254 განკარგულებაშია ნათქვამი.

„საქართველოს კონსტიტუციის 1043 მუხლისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 12913 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და ქალაქ თბილისის მერის არჩევნები დაინიშნოს 2010 წლის 30 მაისს“, - ნათქვამია განკარგულებაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ბოლოს შეტანილი ცვლილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რიგგარეშე და დედაქალაქის მერის არჩევნები არაუგვიანეს 2010 წლის პირველი ივნისისა უნდა ჩატარდეს. არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე 60 დღით ადრე ნიშნავს. „საარჩევნო კოდექსში“ კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღად 30 მაისია გაწერილი.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ ჩატარდება ერედვის, თიღვის, ქურთის, აჟარისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს უფლებამოსილება შეუნარჩუნდებათ.





## დღეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 71 წლის გახდებოდა!..

ყველაზე ტრაგიკული იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბედი, იმიტომ, რომ იგი შეეწირა თავის ოცნებას. ისე, როგორც ათასობით ადამიანი შეეწირა თავის ოცნებას. ჩვენ უფლება არა გვაქვს პატივი არ მივაგოთ მათ ხსოვნას.

თითოეული ქართველის ვალია, რომ მოიხსენიებდეს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს, რომლებმაც შეძლეს ქვეყნისათვის თავდადების დემონსტრირება, რომ გადამწყვეტ მომენტში თავდადებაა ერთადერთი გამოსავალი. ამავე დროს, მე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ბარიკადების ორივე მხარეს იყვნენ ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად სჯეროდათ, რომ რასაც აკეთებდნენ, საქართველოსთვის აკეთებდნენ, საქართველოსთვის დებდნენ თავს.

*მიხეილ სააკაშვილი*

## ომგადახდილებზე ზრუნავენ

სამოცდამეხუთე გაზაფხულს იზეიმებენ წელს ჩვენი ომგადახდილები. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის–9 მაისის აღსანიშნავად აქედანვე ემზადება ხობის მუნიციპალიტეტის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა.

ომის ვეტერანთა საერთაშორისო საზოგადოებრივ გაერთიანებას გადაწყვეტილი აქვს 2010 წელი „ომის ვეტერანთა“ წლად გამოაცხადოს, რომლის ლოზუნგი იქნება „არ დარჩეს უყურადღებოდ და ზრუნვის გარეშე არც ერთი ომის ინვალიდი, ლოგინს მიჯაჭვული თუ მარტოხელა.“

ძალზე საყურადღებოა, რომ ქართულ-უკრაინული ასოციაცია „მეგობრობა“ (ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ანდღულაძე) და გერმანული გაერთიანების „კონტაქტე-კონტაქტი“ არიან ვეტერანები, ოფიციალური ომგადახდილების პარტნიორები საქართველოში. მათ რაიონის იმ ომის ვეტერანებს, რომლებიც გერმანიის სამხედრო ბანაკებში იტანჯებოდნენ,



საჩუქრად 300-300 ევრო გადასცეს. ბატონი ნუგზარ ანდღულაძე ომის ვეტერანებს საცხრამაისოდ სიურპრიზს უმზადებს ხობის ომის, შრომისა და ვეტერანთა კავშირის გამგეობა წინასწარ უხდის მადლობას ქართულ-უკრაინულ ასოციაციას „მეგობრობის“ ხელმძღვანელობას.

ჩვენი კავშირის გამგეობა უდიდეს პატივისცემას და მადლიერებას გამოხატავს ხობის მუნიციპალიტეტის იმ წარმოება-დაწესებულებების მიმართ, რომლებმაც ომგადახდილთა დასახმარებლად თავიანთი მოკრძალებული წვლილის გაღება გადაწყვიტეს. აი ისინი: რაიონის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის დირექტორი ქალბატონი ხათუნა ხორავა. შპს „მაკრონები“, დირექტორი ელვარდ გოგინავა და ინდმეწარმე „რობერტ გვასალია“. მჯერა, მათ თანამდგომნი და მიმბაძველებიც გამოუჩნდებიან.

იცოდეთ, ეს ყურადღება და მათდამი გაღებული სიკეთე ვეტერანთა სიცოცხლის გახანგრძლივების დიდი გარანტი იქნება.

***ალექსანდრე ცხადაია, ხობის მუნიციპალიტეტის ომის ვეტერანთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.***

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრიობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი



**ცოტნე მირცხულავა**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

## 4 აპრილი - აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული!

# გ ი ლ ო ც ა ვ თ!

## ილია მეორემ ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარე მიიღო



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარე ხოსე ბონო მარტინესი მიიღო. შეხვედრას ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი და ესპანელი სტუმრები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე იმყოფებოდა დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი და ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი. ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარემ დეტალურად გამოიკითხა მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ საინტერესო დეტალები. კერძოდ, საქართველოს პატრიარქების ისტორიები, განსხვავებები მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიას შორის. ხოსე ბონო მარტინესმა აღნიშნა, რომ ესპანეთში დღეს ეკლესია აღმავლობას არ განიცდის და ყველაზე ახალგაზრდა, ვინც კათოლიკურ მესებს ესწრება, თავად არის. უწმინდესმა შეხვედრაზე ესპანეთის დელეგაციის ხელმძღვანელს ერთ-ერთი კათოლიკური ეკლესიის ფოტოები აჩვენა, რომელიც 1980 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. ტაძარი მდებარეობს ბარსელონაში. პატრიარქმა ითხოვა ესპანელი სტუმრისგან, რომ მოხდეს ამ ტაძრის გადმოცემა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. როგორც უწმინდესმა ბრძანა, ესპანეთში ამ დროისთვის სამი ქართველი მღვდელი მსახურობს. ხოსე ბონო მარტინესი დაპირდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ დაუკავშირდება ბარსელონას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს და საქართველოს პატრიარქის სახელით მისწერს ამ ყოველივეს შესახებ. შეხვედრის შემდეგ სტუმრებმა საპატრიარქო რეზიდენცია დაათვალიერეს. „ინტერ

„პრესნიუსი“

## ევროკავშირი–საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მე-12 შეხვედრაზე განცხადება მიიღეს

ევროკავშირი–საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მე-12 შეხვედრაზე განცხადება და რეკომენდაციები მიიღეს.

განცხადება და რეკომენდაციები ეხება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებს, საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, სიტუაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

რეკომენდაციების მიღებით ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მე-12 შეხვედრამ მუშაობა დაასრულა, სხდომის შედეგები კი სხდომების თანათავმჯდომარეებმა, საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა, დავით დარჩიაშვილმა და ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მილან ცაბრნოკიმ პრესკონფერენციაზე შეაჯამეს.

როგორც დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საპარლამენტო ფორმატი რამდენიმე წელია მოქმედებს და ის საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მისი თქმით, მიღებული იქნა განცხადება და რეკომენდაციები, რომელიც მიმართულია, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე ევროკავშირის მიმართ.

დარჩიაშვილის ინფორმაციით, ტექსტში ასახულია საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება, ასევე საქართელო-ევროკავშირის ურთიერთობების სამომავლო გეგმები, მათ შორის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მონაწილეობა და ამ ინიციატივიდან გამომდინარე სავიზო რეჟიმის გამარტივება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირებული შეთანხმებისა და ღრმა, ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადების პერსპექტივები.

ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელის, მილან ცაბრნოკის განცხადებით კი, მიუღებელია ის ფაქტი, რომ საქართველო ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის ოც პროცენტს და ირღვევა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება.

მან კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა და ისაუბრა კონფლიქტის ზონებში ევრომონიტორების მისიის გაგრძელებისა და მათი მანდატის გაფართოების მნიშვნელობაზე.

მილან ცაბრნოკიმ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმების მეორე ტალღას და იმედი გამოთქვა, რომ ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ განხორციელებული რეფორმების წარმატებულობა ნათლად წარმოჩინდება.

მისივე თქმით, საქართველო განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი და პრივილეგირებული პარტნიორი და საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთოებების განმტკიცებას ხელს შეუწყობს თანამშრომლობის ახალი ფორმატი –„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საპარლამენტო ასამბლეა.

ევროპარლამენტარების დელეგაციის სამდღიანი ვიზიტი საქართველოში ხვალ დასრულდება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

## ცსკ საარჩევნო სიების მონიტორინგის პროცესში ჩართულ პარტიებს „სერიოზულობისკენ“ კიდევ ერთხელ მოუწოდებს

ამის შესახებ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართულ ბრიფინგზე ცსკ-ის სპიკერმა ჯული გიორგაძემ განაცხადა, რომელმაც მედიის წარმომადგენლებს გასული კვირის საქმიანობა გააცნო.

როგორც გიორგაძემ აღნიშნა, ცსკ-ის მიერ განხორციელებული სიების მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ მოწოდებული მასალები ხშირ შემთხვევებში ცსკ-ის მიერ 2010 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით გაცემულ ამომრჩეველთა მონაცემების ბაზას არ ეყრდნობა.

ბრიფინგზე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია გაწეული სამუშაოს შესახებ იმ მისამართებზე, სადაც ერთ ბინაში ოცდაათი და მეტი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.

„ბაზაში 21 ასეთი მისამართი დაფიქსირდა, აქედან 19 შემთხვევა უკვე გასწორებულია და დარჩენილია მხოლოდ 2. ერთ შემთვევაში ბინის მესაკუთრე, მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, უარს აცხადებს მის ბინაში ჩაწერილთა რეგისტრაციიდან მოხსნაზე, მეორე შემთხვევაში კი მესაკუთრე საქართველოში არ იმყოფება. 19 შემთხვევიდან 12 ტექნიკური ხარვეზი იყო, ხოლო 7 შემთხვევაში მოქალაქეები მოხსნილნი არიან რეგისტრაციიდან“, - განაცხადა გიორგაძემ.




მისივე თქმით, დღეს, 12:00 საათზე ცსკ-ში საპარლამენტო ინტერფრაქციულ ჯგუფთან შეხვედრა გაიმართება, რომელშიც ცსკ-ისა და ინტერფრაქციული ჯგუფის წევრები მიიღებენ მონაწილეობას.

მომავალი კვირიდან კი ცსკ გააგრძელებს რეგიონალურ ვიზიტებს და წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები საქართველოს ყველა რეგიონს ეწვევიან.

„პირველი“



## თემურ იაკობაშვილმა ბრიუსელში საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია წარადგინა

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა თემურ იაკობაშვილმა ბრიუსელში ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია წარადგინა.

თემურ იაკობაშვილი პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტის ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდა და სახელმწიფო სტარატეგია და სამოქმედო გეგმა განიხილა. შეხვედრისას გამოიკვეთა ევროკავშირის როლი სამოქმედო გეგმის შესრულებაში. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საქართველოს მთავრობის ხედვას და სტრატეგიაში ასახულ პრიორიტეტებს.

სახელმწიფო მინისტრმა ვიზიტის ფარგლებში სტრატეგია გააცნო ასევე ნატო-საქართველოს საბჭოს და ოფიციალური შეხვედრები გამართა ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილესთან ჰიუგო მინგარელისთან და ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლებთან.

ნატო-სა და ევროკავშირის ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობას გამოუცხადეს სრული მხარდაჭერა და მზადყოფნა აქტიურად ჩაერთონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ მიმართულ სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ვიზიტის დროს, თემურ იაკობაშვილს ინტერვიუები ჰქონდა მედიის წარმომადგენლებთან, მათ შორის ობსერვერ-ის ჟურნალისტთან ენდრიუ რეტმანთან და ესტონეთის საზოგადოებრივ მაუწყებელთან.

„ჯი-ეიჩ-ენი“

## სლოვაკეთი მხარს უჭერს ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს უვიზო რეჟიმის დაწესებას




სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიროსლავ ლაიჩაკის განცხადებით, სლოვაკეთი ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს უვიზო რეჟიმის დამყარებას მხარს უჭერს.

ამის შესახებ სლოვაკეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ქართველ კოლეგასთან, გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მან აღნიშნა, რომ სლოვაკეთი საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანების ძალისხმევას მიესალმება.

„სლოვაკეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ხელმოწერილი იქნება შეთანხმება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ რეგიონში არსებულ ვითარებაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და სამხრეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე“,- განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და დასძინა, რომ მიროსლავ ლაიჩაკის ვიზიტი ხუთი თვის წინ იყო დაგეგმილი, მაშინ, როდესაც პირადად იგი ბრატისლავაში იმყოფებოდა.

„შეხვედრაზე ასევე განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობისა და, პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხები. განსაკუთრებით, ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები შესაძლოა სამაგალითოც იქცეს, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობები საწყის ეტაპზე იმყოფება“,- განაცხადა ვაშაძემ.

ამას გარდა, ვაშაძის განცხადებით, სლოვაკელ მინისტრთან ერთად, საქართველოში ჩამოვიდნენ სლოვაკელი ბიზნესმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველო-სლოვაკეთის ბიზნეს-ფორუმში.

„ჯი-ეიჩ-ენი“

## გრიგოლ ვაშაძემ რუსეთში აფეთქებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა

საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ რუსეთში აფეთქებების შედეგად დაღუპულთა სამძიმარი გამოუცხადა ოჯახებს.

როგორც ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან აუდრონიუს აჟუბალისთან შეხვედრის შემდეგ გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, ის სამძიმარს გამოხატავს საქართველოსა და ლიტვის სახელით.

„ჩვენ სამძიმარს გამოვხატავთ გარდაცვლილთა ოჯახების მიმართ. მოსკოვში დაიღუპა 37 ადამიანი, არის ბევრი დაჭრილი. საქართველო და ლიტვა ტერორიზმის წინააღმდეგი იყო ყოველთვის, მიუხედავად იმისა, რა მიზეზებითაც ცდილობენ ტერორიზმის გამართლებას“, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

„ინტერპრესნიუსი“

# უკეთესი ხვალინდელი დღისთვის



***ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებული ტერიტორიულ ორგანო სოფელ ძველ ხიბულაში ბატონი რამინ ბიგვავა გახლავთ. იგი 1952 წელს დაიბადა სოფელ ძველ ხიბულაში. სპეციალობით ინჟინერ–მშენებელია. პირველი შრომითი ნათლობა ხობის მმკ–19-ში მიიღო. იყო კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, 1978 წლიდან თავისი სოფლის კოლმეურნეობის მშენებელ-ინჟინრად მუშაობდა. შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეა. 2004–2006 წლებში საგადასახადო ინსპექტორის თანამდებობა ეკავა, 2007 წლიდან ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულია ამავე სოფელში.***

***ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.***

–ძალზე პასუხსაგები და ამავდროულად სასიამოვნოა, როცა საქვეყნო საქმეს გულშემატკივრობ, მით უფრო, თუ ის შენი სოფელია და შენ თუ მთელი ძალისხმევით რაიმე სასიკეთოს აკეთებ სოფლისათვის, თანასოფლელთათვის, სიამაყის გრძნობით ივსები, რწმენა გემატება, რომ მომავალში კიდევ შეიძლება რაიმე ახალი და ხალხისთვის სასიკეთო მოიაზრო, გააკეთო,– ამბობს სოფლის თავკაცი.

როგორც ბატონ რამინთან საუბარში შევნიშნე, სოფელზე ზრუნვა და ხალხის ავ-კარგზე ფიქრი მისი ყოველდღიურობაა. თანასოფლელთა ტკივილის გაზიარებითა და სიხარულით ცხოვრობს. შრომისმოყვარე და ალღოიან ადამიანს აფასებენ, ისიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საქმეს და საერთო საზრუნავს თავისებური კვალი დაატყოს.

ძველხიბულელებს ბევრი საამაყო აქვთ შორეული წარსულიდან. იგი დადიანების, როგორც საზაფხულო რეზიდენცია, მნიშვნელოვან საქმეებს უკავშირდება, მათ ნასახლარზე დღეს ათობით ადამიანი სახლობს. ამასთან, აქ შემორჩენილია სასახლის ნანგრევები, დღევანდელი სახელწოდებით „ჯიხა“. საამაყო არც თუ შორეულ წარსულშიც აკლდათ, სოფლის ორდენოსანი თუ რიგითი მშრომელი ადამიანები–მეჩაიეები, მესიმინდეები, მეცხოველეები... მათი კარგი და სასახელო საქმეები ხობის რაიონის იმდროინდელი ცხოვრების ლამაზი ფურცელია.

ძველი ხიბულა მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. მას აღმოსავლეთით ახალი ხიბულა, დასავლეთით ზუგდიდის სოფელი ნარაზენი, ჩრდილოეთით–სოფელი ჭაქვინჯი და სამხრეთით კვლავ ნარაზენი ესაზღვრება.

სოფელი ძველი ხიბულა 1520, 58 ჰექტარ ფართობზეა გაშლილი, მოსახლეობის რაოდენობა 873 შეადგენს. აქ 35 იძულებით გადაადგილებული ცხოვრობს, სულ 291 კომლი. თუ ადრე მშრომელი ადამიანები საზოგადოებრივ საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი, დღეს ისინი შიდა მეურნეობის წინსვლით არიან დაკავებულნი. ძირითადი შემოსავლის წყარო მესიმინდეობა, თხილი, დაფნა და მესაქონლეობაა. სოფლის თითოეულ მშრომელს კარგად აქვთ შეგნებული, რომ წარმატება და სიძლიერე საქმისადმი დიდ სიყვარულს მოაქვს. ხალხი მოლოდინით ცოცხლობს, იქნებ კვლავ აღორძინდეს ქვეყანა და თითოეულმა გლეხმა თუ ინტელიგენტმა საზოგადოებაში საკუთარი ადგილი ჰპოვოს.

სოფელში არსებობს ერთი საჯარო სკოლა, (დირექტორი ზვიად ღვინჯილია). რა თქმა უნდა, ისინი სასკოლო ცხოვრებაში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ცვლილებებს ეხმიანებიან, დიდი ინტერესით ნერგავენ მას თავიანთ სკოლაში. სკოლას, რომელიც დაარსებიდან საუკუნეს ითვლის, ჰყავს უამრავი ცნობილი კურსდამთავრებული, მათ შორის არიან პროფესორები პლატონ ქავთარაძე და ელიზბარ ნადარაია.

სოფელს მუნიციპალიტეტის პროგრამით ემსახურება სამედიცინო პუნქტი ექიმითა და მედდით ( ექიმი გახლავთ ირმა კვარაცხელია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, დეპუტატი, მედდა–დალი შონია), სასოფლო ბიბლიოთეკა (გამგე ბირუტა ხუბულავა). მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს სოფლის მშრომელთა მოთხოვნა, გახსნილიყო საბავშვო ბაღი, ადმინისტრაციული სახლის პირველ სართულზე გარემონტდა ხუთი ოთახი საბავშვო ბაღისთვის. ამას წინათ პატარებმა ზეიმით აღნიშნეს ეს დღე. ამ პატივისათვის სოფელი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მადლიერია (ბაღის გამგე ერიდა ჯიშკარიანი).

თუ როგორ ახერხებენ მაღალი ზონიდან ტრანსპორტირებას, ამის თაობაზე სოფლის რწმუნებულმა გვითხრა: „სოფელს ემსახურება ერთი საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხობამდე, ხოლო ბაზრობის დღეებში (ზუგდიდის საზოგადოებრივ ბაზრამდე), სოფლის ყველა უბანს ემსახურება თითო კერძო ტრანსპორტი, ასე, რომ მიმოსვლა არ ჭირს“.

სოფლისთვის ძირითადი პრობლემა დასაქმებაა, ჩვენი რწმენით,– აღნიშნავს ბატონი რამინი,–მთავარია, საპრივატიზაციო მიწების დროული პრივატიზება, რითაც შესაძლებელი გახდება ადამიანების დასაქმება.

მოიხსნა ისეთი დიდი პრობლემა, როგორიც



უშუქობა იყო. ამჯერად 24 საათიანი ელექტრომომსახურებაა. ამ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა ჩარევით თითქმის მოწესრიგდა სასმელი წყლის პრობლემა. საღურწკაიო–საჯაკონიოს უბნის მცხოვრებ 60 კომლს არა აქვს წყლის პრობლემა. შეკეთდა შიდასამეურნეო გზები (2004 წ.), საჯარო სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი (2006 წ), ღელე „სკურჩაზე“ გაკეთდა კაპიტალური ხიდი (2008 წ.), სოფლის ცენტრი დაამშვენა ფეხბურთის მინისტადიონმა. მთლიანად შეიცვალა ადმინისტრაციული შენობების სახურავი. შემოკავებულიქნა საქარცხიოს სასაფლაო და იგი მავთულბადით შემოიღობა–აი, ის ჩამონათვალი, რაც ბატონ რამინ ბიგვავას რწმუნებულად ყოფნის პერიოდში ხალხის საკეთილდღეოდ გაკეთდა, როგორც თავად ამბობს,–პრობლემებს ბოლო არ უჩანს, კიდევ ბევრი აუცილებელი საქმეა მოსაგვარებელი.

ძველი ხიბულის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ვაკეა, სადაც რამდენიმე წელია მეწყერმა იჩინა თავი. მოსახლეთა ნაწილის სახლები დაზიანებულია, 4–5 სახლი საცხოვრებლად საშიშია. შარშან ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა დაეხმარა ოჯახებს დაზიანების მიხედვით (2500–2000 ლარის ფარგლებში).

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში და მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, კერძოდ, საღურწკაიოსა და ხიბულა–ნარაზენის შემაერთებელ გზაზე ხიდ–ბოგირები გაკეთდა, ასევე ნაწილობრივ შეკეთდა საქანთარიოს უბნის სასაფლაომდე მისასვლელი გზა.

მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარებას შეძლებენ ძველხიბულელები. სოფელში 15449 ლარის სხვადასხვა სამუშაო უნდა შესრულდეს. ძირითადად შეკეთდება საუბნო გზები, გასაკეთებელი საქმეების პროექტი უკვე გამზადების პროცესშია.

ძველხიბულელები დიდი აღფრთოვანებით ელოდებიან იმ დღეს, როცა სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი ბურჯმორყეული ხიდი და იქამდე მისასვლელი გზა აღდგება. საამისოდ იზრუნა მუნიციპალიტეტმა, მოიძია თანხები, შედგა პროექტი, ხიდს შპს „კოკ პლუს“ მშენებლები არემონტებენ. სამუშაო მალე დამთავრდება და ძველხიბულელებს ექნებათ გზაც და ხიდიც. დღეისდღეობით ისინი სხვა ახალი ხიდით სარგებლობენ, რომელიც დეკემბრის თვეში დიდი ზარზეიმით გაიხსნა. ამით ორი რაიონი ერთმანეთს დაბრკოლების გარეშე უკავშირდება.

სოფლის თავკაცს არც ერთი ნიუანსი არ გამორჩენია. აღნიშნა, რომ სოფელში არსებობს ჩაის ფაბრიკა, რომელიც კოოპერატივ „თაიგულის“ საკუთრებაა (უფროსი ალეკო ღურწკაია), მიუხედავად ჩაის პლანტაციების გავერანებისა, ის მაინც ახერხებდა ჩაის გადამუშავებას აქა-იქ შემორჩენილი ჩაის ფოთლის ხარჯზე. ქვეყნად არსებულმა ფინანსურმა პრობლემებმა, რასაკვირველია, ეს მინიფაბრიკაც დააზარალა. ვერ მოხერხდა ნედლეულის შესყიდვა და ორი წელია არ ფუნქციონირებს, ამით იმ ოჯახებმაც იზარალეს, რომლებიც იქ მუშაობდნენ და გასამრჯელოს იღებდნენ. დროის პრობლემა და დროის საკითხია აღორძინდება ჩვენს ქვეყანაში ჩაის კულტურა, მით უფრო ძველ ხიბულაში?

სოფლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია ჰქონდეთ სალოცავი, რადგანაც მორწმუნე ადამიანებს შეეძლოთ იარონ ღვთის სახლში და ამით საკუთარი რწმენა გაიძლიერონ. ბატონმა რამინმა აღნიშნა, რომ მოსახლეობა ერთმანეთთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომ ურთიერთთანადგომით შეძლონ სალოცავის აშენება, იქნებ ამ საქმეს თანამდგომიც გამოუჩნდეს.

–მერწმუნეთ, კიდევ ბევრს გავაკეთებთ სოფლისათვის. ძველი ხიბულა ერთ-ერთი გამორჩეული სოფელი გახლდათ ხობის მუნიციპალიტეტში და კვლავაც შეძლებს აღორძინებას. ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, თითოეული მაცხოვრებელი ადარდებს, თითოეულის ტკივილი ტკივა, მათი წინსვლა და კეთილდღეობა ახარებს. მიტომაც გვმართებს ურთიერთგვერდით დგომა და ერთიანი ძალისხმევით მუხლჩაუხრელად ვებრძოლოთ წინააღმდეგობებს უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.–ჩვენთან დიალოგს ასე ამთავრებს სოფლის თავკაცი. ასე სურს იყოს. ყველა წვრილმანზე, გასაკეთებელსა თუ გაკეთებულზე მესაუბროს...

მეც ისღა დამრჩენია, წარმატებები გისურვოთ. მინდა ლამაზი დღეები არ დაგელიოთ.

***ნანი კილასონია.***

# "ჩემი თვალით დანახული რუსული აგრესია"




ომი ჩემი თაობისათვის ეკრანიდან დანახული საშინელება იყო. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ჩემი თვალით ვნახავდი მშვიდი, ვარსკვლავებით მოჭედილი ციდან, რომელსაც სიამოვნებით ვათვალიერებდი, თვითმფრინავები სასიკვდილო ბურთებს ჩამოყრიდნენ.

რუსეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანა–პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის და სხვათა სამშობლო– მათ ძალიან უყვარდათ საქართველო და ქართველი ხალხი.

ჩემი დიდი ბებიაც რუსი ყოფილა, რომელმაც მამას საქართველოს სიყვარული და ერთგულება ასწავლა. სწორედ სამშობლოს სიყვარულის გამო მამა ჩადგა ათასობით რეზერვისტთა რიგებში.

აგვისტოს ერთი ჩვეულებრივი დილაა. მამა რეზერვისტად გაიწვიეს, ქვეყნად შექმნილი მდგომარეობის გამო, შეშინებულმა ტირილით გავაცილე. მთელი დღე დაძაბულები ვიყავით, გვჯეროდა, რომ ღვთის იმედით საქმე არ გართულდებოდა. ღამე კი... რა დამავიწყებს იმ საშინელ ღამეს, როცა მძინარეს დედის კივილი მაღჩამესმა–შვილო, მგონი, გვხოცავენო. ის ღამე ფოთში კორპუსის სარდაფში გავათენეთ. ბომბდამშენების გუგუნში ციდან წითელი სასიკვდილო ბურთები ცვიოდა. ქალაქი ზანზარებდა. დაიბომბა სენაკის სამხედრო ბაზაც, სადაც მამა იმყოფებოდა. შიშით და იმედით შევყურებდით ტელეფონს, რომელიც დუმდა.

მეორე დღეს შეშინებული მოსახლეობისაგან დილიდანვე დაიცალა ფოთი, ჩვენც სოფელში დავბრუნდით. მამა გადაურჩა იმ საშინელებას, მაგრამ რაიონს დარჩეული ბიჭები წაართვა. ერთი კვირის განმავლობაში შიშით ვცხოვრობდით, მერე კი თითქოს ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდით, მაგრამ დღემდე გამომყვა შეშინებული, ნაღვლიანი თვალები, დარღვეული საზღვრები, ოკუპირებული სამაჩაბლო და აფხაზეთი, დანგრეული, გადამწვარი სოფლები, სოკოებივით ჩამწკრივებული სახლები, სადაც ახალ ცხოვრებას იწყებენ დევნილები, დაობლებული ბავშვები.

ამის შემდეგ მგონია, ბიჭებმა ომობანას თამაშიც კი მიატოვეს მაგრამ მტერო, დაგილეწია და ვერ აგიღია „ჩვენი მამული მუდამ იბრწყინებს, რადგან ჩვენი ბრძოლა სამართლიანია“.

***სალომე თუთბერიძე,***
***VII კლასის მოსწავლე***

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება N147

ქ. ხობი

2010 წლის 16 მარტი

„ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შემცირდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში:

ა) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 864,9 ათასი ლარით (მათ შორის: გზების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯები - 305.5 ათასი ლარით; წყლის სისტემის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის ხარჯები - 153.0 ათასი ლარით; სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები - 217,4 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ხარჯები - 189.0 ათასი ლარით).

2. გამოთავისუფლებული თანხების მთლიანი მოცულობა - 864,9 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებზე - 3,0 ათასი ლარი (მათ შორის: გამგეობის აპარატის დაფინანსება - 3.0 ათასი ლარი);

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების ხარჯებზე - 40.0 ათასი ლარი;

გ) სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხარჯებზე - 6.0 ათასი ლარი (მათ შორის სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 6.0 ათასი ლარი);

დ) ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯებზე - 794.9 ათასი ლარი (მათ შორის: გზების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯები - 389.4 ათასი ლარი; წყლის სისტემის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის ხარჯები - 134.7 ათასი ლარი; სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები - 58.1 ათასი ლარი; კეთილმოწყობის ხარჯები - 212.7 ათასი ლარი);

ე) სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე - 6,0 ათასი ლარი (მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები - 6.0 ათასი ლარი);

ვ) ფინანსური აქტივების ცვლილება - 15,0 ათასი ლარი (მათ შორის: „ვალუტა და დეპოზიტების ზრდა“ – 15,0 ათასი ლარი).

3. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი თანახმად N1 დანართისა:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 7799,9 ათასი ლარით (აქედან: გადასახადები 6192,0 ათასი ლარი; გრანტები - 1290,9 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 317.0 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 4825,3 ათასი ლარით (აქედან: შრომის ანაზღაურება - 1147.7 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება -784.1 ათასი ლარი; სუბსიდიები - 2633,5 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 260.0 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო სალდო - 2974,6 ათასი ლარით;

დ) არაფინასური აქტივების ცვლილება - 2955,7 ათასი ლარით;

ე) მთლიანი სალდო - 18,9 ათასი ლარით;

ვ) ფინასური აქტივების ცვლილება - -3,9 ათასი ლარით“;

ბ) დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანახმად N2 დანართისა. მათ შორის:

ა) შემოსულობები - 8449,9 ათასი ლარით (აქედან: შემოსავლები - 7799,9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 650,0 ათასი ლარი);

ბ) გადასახდელები - 8431,0 ათასი ლარით (აქედან: ხარჯები - 4825,3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 3605,7 ათასი ლარი);

გ) ნაშთის ცვლილება - 18,9 ათასი ლარით.“;

გ) დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად N5 დანართისა. მათ შორის:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1439.2 ათასი ლარით (აქედან: აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა - 1427.2 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში - 12.0 ათასი ლარი);

ბ) თავდაცვა - 88,5 ათასი ლარით (აქედან: შეიარაღებული ძალები - 88,5 ათასი ლარი);

გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 321,0 ათასი ლარით (აქედან: შს ადგილობრივი ორგანოები - 90,0 ათასი ლარი; ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა - 231,0 ათასი ლარი);

დ) ეკონომიკური საქმიანობა - 1604.5 ათასი ლარით (აქედან: სოფლის მეურნეობა - 918,5 ათასი ლარი; ტრანსპორტი -686 ათასი ლარი);

ე) გარემოს დაცვა - 412.1 ათასი ლარით (აქედან: ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 265.0 ათასი ლარი; ჩამდინარე წყლების მართვა - 147.1);

ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა - 1663.1 ათასი ლარით (აქედან: კომუნალური მეურნეობის განვითარება - 493.4 ათასი ლარი; წყალმომარაგება - 623.7 ათასი ლარი; გარე განათება - 546.0 ათასი ლარი);

ზ) ჯანმრთელობის დაცვა - 129,5 ათასი ლარით (აქედან: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 129.5 ათასი ლარი);

თ) დასვენება, კულტურა და რელიგია - 945.5 ათასი ლარით (აქედან: მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში - 320,0 ათასი ლარი; მომსახურება კულტურის სფეროში - 571,3 ათასი ლარი; ტელე-რადიო მაუწყებლობა - 36,7 ათასი ლარი; რელიგიური და სხვა სახის საქმიანობა - 7.0 ათასი ლარი; გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში - 10,5 ათასი ლარი);

ი) განათლება - 1567.6 ათასი ლარით (აქედან: სკოლამდელი აღზრდა - 1159,7 ათასი ლარი; ზოგადი განათლება - 116,9 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში - 291.0 ათასი ლარი);

კ) სოციალური დაცვა - 260,0 ათასი ლარით (აქედან: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა - 62,0 ათასი ლარი; ხანდაზმულთა სოციალური დაცვა - 81,2 ათასი ლარი; მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა - 8,0 ათასი ლარი; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 108,8 ათასი ლარი)“;

დ) დადგენილების დანართი N1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „დანართი 1“

ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის გეგმა | 2010 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **შემოსავლები** | 7 002,6 | 7 799,9 |
| გადასახადები | 5 387,0 | 6 192,0 |
| გრანტები | 1 023,0 | 1 290,9 |
| სხვა შემოსავლები | 592,6 | 317,0 |
| | | |
| **ხარჯები** | 4 622,8 | 4 825,3 |
| შრომის ანაზღაურება | 1 216,4 | 1 147,7 |
| საქონელი და მომსახურება | 871,2 | 784,1 |
| პროცენტი | 0,0 | 0,0 |
| სუბსიდიები | 2 066,3 | 2 633,5 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 298,2 | 260,0 |
| სხვა ხარჯები | 170,7 | 0,0 |
| | | |
| **საოპერაციო სალდო** | 2 379,8 | 2 974,6 |
| | | |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | 2 456,6 | 2 955,7 |
| ზრდა | 3 276,6 | 3 605,7 |
| კლება | 820,0 | 650,0 |
| | | |
| **მთლიანი სალდო** | -76,8 | 18,9 |
| | | |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | -76,8 | 18,9 |
| ზრდა | 259,2 | 37,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 259,2 | 37,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| კლება | 336,0 | 18,1 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 336,0 | 18,1 |
| სესხები | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 |
| | | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | 0,0 | 0,0 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | | |
| საშინაო | 0,0 | 0,0 |
| | | |
| **ბალანსი** | 0,0 | 0,0 |

ე) დადგენილების დანართი № 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

### „დანართი 2„

ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის გეგმა | 2010 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **შემოსულობები** | 7 822,6 | 8 449,9 |
| შემოსავლები | 7 002,6 | 7 799,9 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 820,0 | 650,0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | |
| **გადასახდელები** | 7 899,4 | 8 431,0 |
| ხარჯები | 4 622,8 | 4 825,3 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 276,6 | 3 605,7 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 |
| | | |
| **ნაშთის ცვლილება** | -76,8 | 18,9 |

ვ) დადგენილების დანართი №3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

### „დანართი №3“

ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები.

| შემოსულობების კოდები | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის გეგმა | 2010 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| | შემოსულობები | 8 158,6 | 8 449,9 |
| | შემოსავლები | 7 002,6 | 7 799,9 |
| | არაფინანსური აქტივების კლება | 820,0 | 650,0 |
| | ფინანსური აქტივების კლება | 336,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | | | |
| | შემოსავლები | 7 002,6 | 7 799,9 |
| 11 | გადასახადები | 5 387,0 | 6 192,0 |
| 11111 | საშემოსავლო გადასახადი | | |
| 11311 | ქონების გადასახადი | 5 387,0 | 6 192,0 |
| 1131101 | საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3 920,0 | 4 630,0 |
| 1131102 | უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | |
| 1131103 | ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 10,0 | 2,0 |
| 11311042 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 100,0 | 100,0 |
| 11311052 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1 357,0 | 1 460,0 |
| 1136 | სხვა გადასახადები ქონებაზე | | |
| 116 | სხვა გადასახადები | | |
| 13 | გრანტები | 1 023,0 | 1 290,9 |
| 131 | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | | |
| 132 | უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები | | |
| 133 | სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 1 023,0 | 1 290,9 |
| | გათანაბრებითი ტრანსფერი | | |
| | მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 320,0 | 166,0 |
| | სპეციალური ტრანსფერი | 703,0 | 1 124,9 |
| | მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 724,9 |
| | მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 14,0 | |
| | მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | | |
| | მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 689,0 | 400,0 |
| 14 | სხვა შემოსავლები | 592,6 | 317,0 |
| 141 | შემოსავლები საკუთრებიდან | 140,0 | 85,0 |
| | პროცენტები | | |
| | დივიდენდები | | |
| | რენტა | 140,0 | 85,0 |
| | | | |
| 14151 | მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 140,0 | 80,0 |
| 14153 | მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე | | |
| 14154 | შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | | 5,0 |
| 14159 | სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | | |
| 142 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 132,0 | 112,0 |
| 1422 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 43,0 | 25,0 |
| 14222 | საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | |
| 14223 | სანებართვო მოსაკრებელი | | 5,0 |
| 14227 | სახელმწიფო ბაჟი | | |
| 14229 | საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | |
| 142210 | სატენდერო მოსაკრებელი | 3,0 | 2,0 |
| 142212 | სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | | |
| 142213 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 24,0 | |
| 142215 | კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | | |
| 142216 | ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | | |
| 142214 | ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 14,0 | 18,0 |
| 142299 | სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 2,0 | |
| 1423 | არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 89,0 | 87,0 |
| 14231 | შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | | |
| 14232 | შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 89,0 | 87,0 |
| 143 | ჯარიმები, სანქციები და საურავები | 110,0 | 120,0 |
| 144 | ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | | |
| 145 | შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 210,6 | |
| | | | |
| 31 | არაფინანსური აქტივების კლება | 820,0 | 650,0 |
| 311 | ძირითადი აქტივები | 120,0 | 80,0 |
| 314 | არაწარმოებული აქტივები | 700,0 | 570,0 |
| | მიწა | 700,0 | 570,0 |
| | სხვა ბუნებრივი აქტივები | | |
| | | | |
| 32 | ფინანსური აქტივების კლება | 336,0 | 0,0 |
| | სესხები | 336,0 | |
| | აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| | | | |
| | ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 |
| | საგარეო | | |
| | საშინაო | | |

→ 5

4 ←

ვ) დადგენილების დანართი №4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„დანართი №4“

ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები.

| ფუნქციონალური კოდი | ორგ. კოდი | დასახელება | 2009 წლის გეგმა | 2010 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| | სულ | **ხობის მუნიციპალიტეტი** | **7 899,4** | **8 431,0** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **191,0** | **191,0** |
| | | **ხარჯები** | **4 622,8** | **4 825,3** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **1 216,4** | **1 147,7** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **871,2** | **784,1** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 0,0 |
| | | მივლინებები | 11,5 | 8,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 139,4 | 154,2 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 20,0 | 12,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 10,0 | 10,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 168,1 | 135,8 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 522,2 | 463,6 |
| | | **პროცენტი** | **0,0** | **0,0** |
| | | **სუბსიდიები** | **2 066,3** | **2 633,5** |
| | | **გრანტები** | **0,0** | **0,0** |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | **298,2** | **260,0** |
| | | **სხვა ხარჯები** | **170,7** | **0,0** |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **3 276,6** | **3 605,7** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | **0,0** | **0,0** |
| | | **ვალდებულებების კლება** | **0,0** | **0,0** |
| | 01 00 | **ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** | **1 623,5** | **1 439,2** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **148,0** | **148,0** |
| | | **ხარჯები** | **1 486,2** | **1 376,6** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **1 018,7** | **932,8** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **437,9** | **443,8** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 0,0 |
| | | მივლინებები | 8,8 | 6,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 103,4 | 121,8 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 20,0 | 12,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 77,3 | 74,3 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 228,4 | 229,2 |
| | | **პროცენტი** | **0,0** | **0,0** |
| | | **სუბსიდიები** | **29,6** | **0,0** |
| | | **გრანტები** | **0,0** | **0,0** |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | **0,0** | **0,0** |
| | | **სხვა ხარჯები** | **0,0** | **0,0** |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **137,3** | **62,6** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | **0,0** | **0,0** |
| | | **ვალდებულებების კლება** | **0,0** | **0,0** |
| | 01 01 | **ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **304,3** | **286,2** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **20,0** | **20,0** |
| 70111 | | **ხარჯები** | **292,9** | **281,2** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **192,1** | **179,9** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **100,8** | **101,3** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,5 | 1,0 |
| | | ოფისის ხარჯები | 30,2 | 30,7 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 35,4 | 40,7 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 33,7 | 28,9 |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| 70111 | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **11,4** | **5,0** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა** | **1 173,1** | **1 046,0** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **128,0** | **128,0** |
| 70111 | | **ხარჯები** | **1 047,2** | **988,4** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **826,6** | **752,9** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **220,6** | **235,5** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 0,0 |
| | | მივლინებები | 7,3 | 5,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 73,2 | 91,1 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 41,9 | 33,6 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 98,2 | 105,3 |
| | | **პროცენტი** | **0,0** | **0,0** |
| | | **სუბსიდიები** | **0,0** | **0,0** |
| | | **გრანტები** | **0,0** | **0,0** |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | **0,0** | **0,0** |
| | | **სხვა ხარჯები** | **0,0** | **0,0** |
| 70111 | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **125,9** | **57,6** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | **0,0** | **0,0** |
| | | **ვალდებულებების კლება** | **0,0** | **0,0** |
| | 01 02 01 | **ხობი მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატი** | **426,0** | **398,0** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **24,0** | **24,0** |
| | | **ხარჯები** | **366,3** | **350,0** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **204,2** | **179,5** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **162,1** | **170,5** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,5 | 1,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 35,7 | 49,8 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 33,5 | 26,6 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 91,4 | 92,6 |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **59,7** | **48,0** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 02 02 | **ხობი მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური** | **77,7** | **65,3** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **9,0** | **9,0** |
| | | **ხარჯები** | **76,1** | **63,7** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **67,8** | **57,3** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **8,3** | **6,4** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 2,0 | 1,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 5,9 | 4,9 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 0,4 | |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **1,6** | **1,6** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 02 03 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური სამსახური** | **117,7** | **114,2** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **14,0** | **14,0** |
| | | **ხარჯები** | **117,7** | **106,2** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **97,6** | **85,4** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **20,1** | **20,8** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,5 | 1,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 3,8 | 3,8 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 8,4 | 7,0 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 6,4 | 8,5 |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | | **8,0** |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 02 05 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური** | **48,4** | **40,4** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **6,0** | **6,0** |
| | | **ხარჯები** | **46,4** | **40,4** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **43,8** | **38,4** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **2,6** | **2,0** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 0,8 | 0,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 1,8 | 1,5 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **2,0** | |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 02 07 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური** | **43,2** | **36,6** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **5,0** | **5,0** |
| | | **ხარჯები** | **43,2** | **36,6** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **38,9** | **34,0** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **4,3** | **2,6** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | 1,5 | 0,5 |
| | | ოფისის ხარჯები | 2,8 | 2,1 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 02 12 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები** | **460,1** | **391,5** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **70,0** | **70,0** |
| | | **ხარჯები** | **397,5** | **391,5** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | **374,3** | **358,3** |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **23,2** | **33,2** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | 23,2 | 29,0 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 4,2 |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **62,6** | |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 03 | **სარეზერვო ფონდი** | **92,4** | **90,0** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | | |
| 70112 | | **ხარჯები** | **92,4** | **90,0** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | | |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **92,4** | **90,0** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 92,4 | 90,0 |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| 70112 | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 04 | **სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება** | **29,6** | **0,0** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | | |
| 70133 | | **ხარჯები** | **29,6** | **0,0** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | | |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **0,0** | **0,0** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | **პროცენტი** | | |
| | | **სუბსიდიები** | **29,6** | |
| | | **გრანტები** | | |
| | | **სოციალური უზრუნველყოფა** | | |
| | | **სხვა ხარჯები** | | |
| 70133 | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ფინანსური აქტივების ზრდა** | | |
| | | **ვალდებულებების კლება** | | |
| | 01 05 | **მაჟორიტარი დეპუტატების მომსახურების ხარჯები** | **20,0** | **12,0** |
| | | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | | |
| 7018 | | **ხარჯები** | **20,0** | **12,0** |
| | | **შრომის ანაზღაურება** | | |
| | | **საქონელი და მომსახურება** | **20,0** | **12,0** |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 0,0 |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 76,3 | 81,2 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7102 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 08 04 | ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები | 8,0 | 8,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7103 | | ხარჯები | 8,0 | 8,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 8,0 | 8,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7103 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 08 05 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 60,0 | 62,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 71011 | | ხარჯები | 60,0 | 62,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 60,0 | 62,0 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 71011 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |
| | 08 06 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 153,9 | 108,8 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | |
| 7104 | | ხარჯები | 153,9 | 108,8 |
| | | შრომის ანაზღაურება | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | |
| | | მივლინებები | | |
| | | ოფისის ხარჯები | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| | | კვების ხარჯები | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
| | | პროცენტი | | |
| | | სუბსიდიები | | |
| | | გრანტები | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 153,9 | 108,8 |
| | | სხვა ხარჯები | | |
| 7104 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | |
| | | ვალდებულებების კლება | | |

**თ) დადგენილების დანართი №5ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

**„დანართი №5“**

**ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.**

| ფუნქციონალური კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2009 წლის გეგმა | 2010 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 623,5 | 1 439,2 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 573,9 | 1 427,2 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 477,4 | 1 332,2 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 96,5 | 95,0 |
| 70113 | საგარეო ურთიერთობები | | |
| 7012 | საგარეო ეკონომიკური დახმარება | 0,0 | 0,0 |
| 70121 | ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს | | |
| 70122 | საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება | | |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 29,6 | 0,0 |
| 70131 | საერთო საკადრო მომსახურება | | |
| 70132 | საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება | | |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 29,6 | 0,0 |
| 7014 | ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები | | |
| 7015 | გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | | |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0,0 | 0,0 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | | |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 20,0 | 12,0 |
| 702 | თავდაცვა | 83,0 | 88,5 |
| 7021 | შეიარაღებული ძალები | 83,0 | 88,5 |
| 7022 | სამოქალაქო თავდაცვა | 0,0 | 0,0 |
| 7023 | საგარეო სამხედრო დახმარება | | |
| 7024 | გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში | | |
| 7025 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 356,1 | 321,0 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 122,9 | 90,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 233,2 | 231,0 |
| 7033 | სასამართლოები და პროკურატურა | | |
| 7034 | სასჯელაღსრულების დაწესებულებები | | |
| 7035 | გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 7036 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1 784,7 | 1 604,5 |
| 7041 | საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | 0,0 | 0,0 |
| 70411 | საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა | | |
| 70412 | შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა | | |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 765,4 | 918,5 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 765,4 | 918,5 |
| 70422 | სატყეო მეურნეობა | | |
| 70423 | მეთევზეობა და მონადირეობა | | |
| 7043 | სათბობი და ენერგეტიკა | 0,0 | 0,0 |
| 70431 | ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი | | |
| 70432 | ნავთობი და ბუნებრივი აირი | | |
| 70433 | ბირთვული საწვავი | | |
| 70434 | სხვა სახის საწვავი | | |
| 70435 | ელექტროენერგეტიკა | | |
| 70436 | არაელექტრული (მზის, ქარის, წყლის) ენერგია | | |
| 7044 | სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 70441 | მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა | | |

→ 10

ხობის მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივნისიდან
№ 8 (7018) 31 მარტი 2010 წელი.

9 ←

| | | | |
|---|---|---|---|
| 70442 | გადამამუშავებელი მრეწველობა | | |
| 70443 | მშენებლობა | | |
| 7045 | ტრანსპორტი | 1 019,3 | 686,0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1 019,3 | 686,0 |
| 70452 | საზღვაო ტრანსპორტი | | |
| 70453 | სარკინიგზო ტრანსპორტი | | |
| 70454 | საჰაერო ტრანსპორტი | | |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 0,0 |
| 7046 | კავშირგაბმულობა | | |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 |
| 70471 | ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება | | |
| 70472 | სასტუმროები და რესტორნები | | |
| 70473 | ტურიზმი | | |
| 70474 | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები | | |
| 7048 | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 70481 | გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში | | |
| 70482 | გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში | | |
| 70483 | გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში | | |
| 70484 | გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში | | |
| 70485 | გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში | | |
| 70486 | გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში | | |
| 70487 | გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | | |
| 705 | გარემოს დაცვა | 281,7 | 412,1 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 243,8 | 265,0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 37,9 | 147,1 |
| 7053 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | | |
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | | |
| 7055 | გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | | |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 442,7 | 1 663,1 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | | 493,4 |
| 7063 | წყალმომარაგება | 228,7 | 623,7 |
| 7064 | გარე განათება | 214,0 | 546,0 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | | |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 116,5 | 129,5 |
| 7071 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | | |
| 70711 | ფარმაცევტული პროდუქცია | | |
| 70712 | სხვა სამედიცინო პროდუქცია | | |
| 70713 | თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები | | |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70722 | სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება | | |
| 70723 | სტომატოლოგიური მომსახურება | | |
| 70724 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | | |
| 7073 | საავადმყოფოების მომსახურება | 0,0 | 0,0 |
| 70731 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70732 | სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება | | |
| 70733 | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება | | |
| 70734 | სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება | | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 116,5 | 129,5 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | | |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 716,2 | 945,5 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 99,8 | 320,0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 569,5 | 571,3 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 38,9 | 36,7 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 8,0 | 7,0 |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | | 10,5 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | | |
| 709 | განათლება | 1 549,7 | 1 567,6 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 898,8 | 1 159,7 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 650,9 | 116,9 |
| 70921 | დაწყებითი ზოგადი განათლება | | |
| 70922 | საბაზო ზოგადი განათლება | | |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | | |
| 7093 | პროფესიული განათლება | | |
| 7094 | უმაღლესი განათლება | 0,0 | 0,0 |
| 70941 | უმაღლესი პროფესიული განათლება | | |
| 70942 | უმაღლესი აკადემიური განათლება | | |
| 7095 | უმაღლესისშემდგომი განათლება | | |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | | |
| 7097 | გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში | | |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | | 291,0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 298,2 | 260,0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 60,0 | 62,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 60,0 | 62,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | | |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 76,3 | 81,2 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 8,0 | 8,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 153,9 | 108,8 |
| 7105 | უმუშევართა სოციალური დაცვა | | |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | | |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | | |
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში | | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 |
| | სულ | 7 252,3 | 8 431,0 |

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე /რ. წულაია/

# 5 აპრილი – მიცვალებულთა მოხსენიების დღე

## ავთანდილ ლოლუა



გლოვის ზარმა ჩამოჰკრა მუნიციპალიტეტის სამედიცინო საზოგადოებაში, უეცრად გარდაიცვალა ხობის ამბულატორიულ–პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი, ექიმი–პედიატრი ავთანდილ (ავთო) ლოლუა.

დაიბადა 1949 წელს ხობის რაიონის სოფელ ხეთაში. 6 წლისა დაობლდა და უდიდესი ტკივილით და სევდით განვლო ცხოვრების საუკეთესო წლები, მაგრამ ერთხელაც არ ჩაუმუხლავს. ქ. სენაკში დაამთავრა რუსული სკოლა, საბჭოთა არმიის რიგებიც მოიარა და ჩელიაბინსკის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. იქვე დაიწყო მუშაობა, მაგრამ თავისი კუთხის უსაზღვროდ მოყვარულმა ერთ წელიწადში დატოვა იქაურობა და სოხუმის რკინიგზის საავადმყოფოში გადმოვიდა.

1985 წელს დაამთავრა თბილისის კლინიკური ორდინატურა პედიატრის სპეციალობით და მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. ჯერ უბნის პედიატრი იყო, შემდეგ რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგე, 1995 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ამბულატორიულ–პოლიკლინიკურ გაერთიანებას ხელმძღვანელობდა.

უღვთო იყო მისი სიკვდილი, ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან ნიჭითა და ენერგიით სავსე ექიმი–პედიატრი, რომელსაც შეეძლო კიდევ ბევრი გაეკეთებინა პოლიკლინიკისათვის, მრავალი სიცოცხლე გადაერჩინა, თუმცა რაც შეძლო და მოასწრო, ერთი კაცის სიცოცხლისათვის კმარა.

ძნელია მასზე წარსულ დროში საუბარი. სამართლიანია ვთქვათ, ავთანდილ ლოლუამ უბრალოდ, ლამაზად და უპრეტენზიოდ იცხოვრა, დარჩენილი დარდი და ტკივილი ამის ნათელი დადასტურებაა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა.

**ხობის მუნიციპალიტეტის სამედიცინო საზოგადოება.**

## მეგობრის ხსოვნას

თავზარდამცემი და შემაძრწუნებელი იყო ამ ქვეყნიდან შენი მოულოდნელი წასვლა. უსწრაფესად განერიდე წუთისოფელს. უსაშველოდ დაგღალა ცხოვრებასთან ჭიდილმა. უდრტვინველად იტანდი სამსახურში წარმოქმნილ პრობლემებს. ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდი შენი საყვარელი პოლიკლინიკის დანგრეულ, გაშიშვლებულ კედლებს. ამ შენობაში ხომ სხვათა მხარდამხარ გალიე ახალგაზრდობის საუკეთესო წლები.

იმ, ავბედით დღეს სამუშო დროს ჩვეულად მორჩი. შენი ოთახიდან უახლოესი მეგობრები გაღიმებული გამოვიდნენ. შენ კი, შენეული სიდარბაისლით, სამუშაო მაგიდის კიდესთან თავდახრილი შეგნიშნე, თითქოს რაღაცას ეძებდი. სიჩქარის გამო ვერ შეგეხმიანე... ორი საათის შემდეგ, ჩვენი კოლეგა და ახლო მეგობარი, შენი პიროვნების უსაზღვროდ შემფასებელი, ქალბატონი შორენა კანკია განწირული ხმით შენს დაკარგვას ტიროდა. ვერ გავითავისეთ შენი გარდაცვალება.

ავთო ექიმო! ასე მოგმართავდი ხობში იძულებით დაფუძნების შემდეგ. ჩვენი ნაცნობობა კი აფხაზეთში დაიწყო. საერთო მეგობარმა, პედიატრმა გურამ დგებუაძემ დაგვაახლოვა. ახალგაზრდა პროფესიონალი ექიმი სოხუმის რკინიგზის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების გამგედ მუშაობდი. ყველა ეროვნების პაციენტი გეხვია გარს. პატივი და დიდება არ მოგკლებია. ეიმედებოდით რკინიგზელთა ოჯახებს. კოლეგებისათვის უღალატო იყავი. ორდინატურაში სწავლის გაგრძელების სურვილით დატოვე სოხუმი. ერთნაირად გაგიჭირდათ დაშორება მკურნალ პედიატრსა და შენგან სიცოცხლებოძებულ პაციენტებს.

ოდაბადე გიხმობდა, ავთო ექიმო! ექიმის მოვალეობის შესრულება ჩვენი რაიონის წინაშე. აქ ხობის სამედიცინო საზოგადოებაში დაფუძნებული, აღიარებულ პედიატრად და წარმატებულ ხელმძღვანელად მომევლინე. საკუთარ მიწაზე დევნილად მობრუნებული თეთრხალათიანები შეგვიკედლე, დახმარების საიმედო ხელი გამოგვიწოდე, გვეიმედებოდით.

საპასუხო მადლიერება ისე ვერ გამოვხატეთ, როგორც შენს პიროვნებას ეკადრებოდა. ალალად გაზრდილს, პატიოსნებით შემკულს, მორიდებულ და უპრეტენზიო ადამიანს, რომელსაც უფალმა ობლობასთან ერთად ნიჭიერება, კაცთმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული, ექიმის მოვალეობის უღალატოდ შესრულება, სტუმართმოყვარე ოჯახის ლაზათიანი გაძღოლა, უნიჭიერესი, ვაჟკაცი შვილების სტუდენტებად დაფრთიანება დაგანათლა.

ვაგლახ! ვერ გაგიფრთხილდით, სევდიანი გამოხედვის მიზეზებს ვერ მიგიხვდით, სხვათა მკურნალო! ამ ცხოვრების ორომტრიალში პირად ჯანმრთელობაზე მოუცლელო, ავთო ლოლუა!

ცხარე ცრემლებით დაგიტირა შენმა ხობმა და ხეთამ, სამეგრელომ და შენგან გადარჩენილმა პაციენტებმა. ნაადრევად შაოსანი ქვრივის ქვითინი და საყვარელი, დის გოდება მიგაცილებდა სამუდამო სასუფევლამდე. შენი შვილების დატანჯული სახის გაყინული მზერა თვალთახედვიდან არ გვცილდება.

უფლის ლოცვა და პაციენტთა ვედრება არ მოჰკლებოდეს შენს ძვალთშესალაგს ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ავთო ლოლუა!

**სვეტა გვათუა,**
**აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი**

## ეკა (ვინარი) შონია

გაზაფხული მოვიდა და მოიტანა სილამაზე, მზემ სითბო მოაფრქვია დედამიწას და ბუნებაც გახალისდა... სიცოცხლე შთაბერა ზამთრისაგან გაცივებულ ქვეყანას!

...შენც გაზაფხულივით ლამაზი, ხალისიანი და თბილი იყავი ჩვენო ეკა! სწორედ, გაზაფხულის მშვენიერ დროს გადარებთ, რადგან გულში ჩაკრული გქონდა სიყვარული ყველას მიმართ და მზის დარად ათბობდი ირგვლივ ყველაფერს!..

უსაშველოდ გვენატრები ეკა... შენი ღიმილი და ლამაზი, მომფერებელი მზერით გვესიყვარულებოდი, შეგეძლო თანაბრად გაგენაწილებინა სითბო და თანაბრად მოფერებოდი ყველას.

სიცოცხლე ძვირფასია... თუმცა ზოგჯ ერ ჯოჯოხეთად გიგქცევს ყოფას, როდის შეგეფეთება სიკვდილი და სად, ღმერთმა უწყის... ჩვენ, ტკივილი და მწუხარება გვერგო, შენი წასვლით გამოწვეული ტკივილი... უკურნებელმა სენმა შეგიპყრო, იგი დაუნდობლად, ყოველდღე გისპობდა ცოცხალ უჯრედს და გართმევდა სიცოცხლის ყოველ წამს, სუსტდებოდი და ძალას კარგავდი, მაგრამ შენს ლაღ ხასიათს ვერაფერი დააკლო. შენი აჩრდილი დაგვსდევს და ვგრძნობთ, რომ გვეფერები, კეთილი თვალებით გვიმზერ და ჩვენთან ხარ...

ძმისშვილის, ირაკლის ქორწილის დღეს, ღმერთს თხოვდი შენს შონიებთან კიდევ ერთხელ ყოფნის საშუალება მოგცემოდა და ღმერთმა გისმინა...

59 წლის ასაკში დასრულდა შენი მხიარული, ბედნიერი სიცოცხლე... თბილი და მოსიყვარულე ოჯახი გქონდა, ამირან კანკავას დაუკავშირე შენი მომავალი. ორი ქალიშვილის შორენასა და ნინოს და სამი შვილიშვილის დედა და ბებია იყავი. ორმოცი წელი თბილისში იცხოვრე, მაგრამ შენს ხობზე უზომოდ შეყვარებული, მონატრებითა და მოგონებებით ცხოვრობდი, ნათესავებსა და მეგობრებს შორიდანაც უახლოვდებოდი... ცალუღელად დარჩენილი ამირანი, შენს სიკვდილს ვერ ეგუება, შენი სურათი, კედლიდან მომღიმარი, უცქერის შენს ოჯახს და თითქოსდა, შენი სიკვდილით დატოვებულ სიცარიელეს ავსებს... მოხუცი დედა თინა გაბედავა ვერ უძლებს შვილის გარდაცვალების ამბავს და ტკივილს ტკივილით ებრძვის...



აი, ასეთია ჩვენი მწუხარება, არ გვასვენებს ცრემლი და დარდი შენზე. გჯ ეროდეს, მარად ვილოცებთ შენს კეთილ, სათნო სულზე...

ახლა მარტია... რვა მარტსა და დედის დღეს გილოცავთ ჩვენო, სიცოცხლეზე შეყვარებულო ეკა. ვაი, რომ გაეპარე გაზაფხულის სითბოს, შენ მას ძალიან ჰ გავდი, გულზე გეწვინა გაზაფხულის სილამაზე, მასავით დამშვენებული და მომღიმარი დადიოდი.

ყოველთვის მოგვენატრები, გვიყვარხარ!

**შენი საშონიო.**

## ზაურ გაბელია



წავიდა ჩვენგან ალალმართალი, სიკეთით და პატიოსნებით სავსე, სპეტაკი სულის პიროვნება, ჩვენი უზადო მეგობარი და პროფესიონალი ზაურ გაბელია.

30 წელიწადი იმუშავა ჩვენთან, განვლო გზა ოსტატიდან ხელმძღვანელამდე და დარჩა მაგალითად იმისა, როგორი უნდა იყოს პიროვნება, ნამდვილი ადამიანი, როგორ უნდა უყვარდეს თავისი საქმე და გარშემო მყოფი ადამიანები.

უზადო მეგობარი იყო, მიუხედავად იმისა, მუდამ გულდამძიმებული დადიოდა, სალამს ვერ დაასწრებდი... სადარდებელი კი ნამდვილად ჰქონდა... დედ–მამა, ორი ძმა, და, ერთადერთი სათაყვანებელი ძმისშვილი უდროოდ გააცილა ამქვეყნიდან, არადა სოფელ ქვემო ქვალონში მისი ბადალი პატიოსნების, კაცურ–კაცობის, სტუმართმოყვარეობის ოჯახი თითზე ჩამოსათვლელი იყო.

გივი, ლიანა, კობა, ემზარი და ნუგზარ გაბელიების სული ცათა სასუფეველშია. ვიზედაც გული შეგტკივა. ნუგეშის თქმა არასოდეს არ არის ადვილი. მაგრამ ამ შემთხვევაში ნუგეშის სიტყვა უძლურია.

ძნელია გაამხნევო მარტო დარჩენილი ერთადერთი ძმა ვახტანგი, რომლისთვისაც საუბედუროდ, სხვა საზრუნავი არ არსებობს, გარდა მათი დანატოვარი ოჯახის და საფლავების მოვლაა.

ახლოვდება მიცვალებულთა მოხსენიების დღე–5 აპრილი. კიდევ ერთხელ გიგონებთ ჩვენო ნუგზარ, უფალს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი და შენი და-ძმების სპეტაკი სული. გპირდებით, არასოდეს დაგივიწყებთ...

**„შარა-გზამშენი-პირველის“ თანამშრომლები.**

# 5 აპრილი — მიცვალებულთა მოხსენიების დღე

## როდინა შვანია



ერთი წელი გავიდა, რაც ხობელებისთვის, და არა მარტო მათთვის, ტკივილიან მოგონებად იქცა თქვენი სახელი. დაცარიელდა თქვენი წილი სამყარო. თუმცა დრომ უკეთესად გამოაჩინა თქვენი სიდიადე.

მოგისაკლისათ არა მარტო ნათესავ–მეგობრებმა, ყველამ, ვისაც სამსახურებრივად იყავით დაკავშირებული. ბედნიერი ვიყავი თქვენთან და თქვენს უკეთილშობილეს მეუღლესთან, ქალბატონ ნატრულისთან ურთიერთობით. თქვენი პატივისცემით და სიყვარულით გარემოსილი.

ვინ იცის, რამდენჯერ დამჭირდით, ბატონო როდინა, ალბათ, ბევრი დამეთანხმება თქვენი რჩევის, გამოცდილების და, რაც მთავარია, თქვენეული თავმდაბლობის დეფიციტი გაჩნდა...

1 აპრილი თქვენი დაბადების დღეა, 70-ე წელიწადს უახლოვდებით... ცოტაც რომ დაგცლოდათ, ალბათ ერთად შევხვდებოდით, ლამაზად აღვნიშნავდით ამ დღეს!..

გვახსოვხართ ყველას, ჩვენ, უბრალო ადამიანებს, არც გვიკვირს, მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სადაც ათეულობით წელი დაჰყავით, როგორც აპარატის ხელმძღვანელმა, ახსოვდეთ და ენატრებოდეთ. თქვენ ხომ არასოდეს გითხოვიათ სხვა რამ, გარდა სიყვარულისა! ამიტომაც დაიმსახურეთ საყოველთაო აღიარება და აღმატებულად პატიოსანი კაცის სახელი. ამ სტრიქონების წერისას თითქოს ყურში ჩამესმის თქვენი სიტყვები „თუ მაინცდამაინც უნდა მომიგონო, გადაჭარბებული არ გამოგივიდეს „ბაბუ...“ ეს ხომ თქვენი ზნეკეთილობისა და ღვთიური თავმდაბლობის დასტურია!

თვალწინ მიდგახართ კეთილღიმილიანი, უბოროტო სახით, გესიყვარულებით, კიდევ ერთხელ გეტყვით, ძალიან მიყვარხართ, ბედნიერი ბრძანდებით თქვენი ფუძემაგარი მონაგარით, პატიოსნებით გაცისკროვნებული შვილებით. მჯერა, ხობს და ხობელებს არასოდეს დაავიწყდებით!

***სიყვარულით***
***მერი ლაგვილავა.***

## ლუარა ჩიტაია



ძვირფასო ლუარა მასწავლებელო, ძალზე ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც დაგვტოვეთ და გულში დიდი სევდა დაგვიტოვეთ. თქვენი მისალმება, თქვენი ლამაზი ღიმილი არასოდეს ამოიშლება ჩვენი გონებიდან. ის ლამაზი სიტყვები, რომლებიც თქვენგან გვესმოდა, ის არაჩვეულებრივი საუბრის მანერა, ის ცოდნა, რომელიც თქვენში იყო და რომელსაც ჩვენ გადმოგვცემდით, ჩვენს გულებში ლამპრად ანთებული მუდამ იქნება.

მასწავლებელო, თქვენ გვასწავლეთ ბევრი რამ, რაც აუცილებელია ადამიანისათვის, ეს არის: სიკეთე, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ. რამდენი კარგი საქმე გაგიკეთებიათ აღსაზრდელთა საკეთილდღეოდ. ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება თქვენი თბილი სიტყვები.

სამწუხაროა, რომ ბედკრულმა წუთისოფელმა ჩვენს გვერდით ყოფნა არ დაგაცალათ, გპირდებით, თქვენ მაინც ჩვენს გულებში მუდამ იქნებით, არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო უსაყვარლესო მასწავლებელო!

უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული.

ამინ!

***მ. ცხადაია***

## გოგი თევზაძე



სამი უსაშველოდ ტკივილიანი წელიწადი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. დრომ ვერ შეამსუბუქა ჩვენი დარდი და სევდა. ვცდილობთ, ყველაფერი ისე იყოს, როგორც შენ გინდოდა, რაზედაც ოცნებობდი. ესეც განგების ნებაა, ალბათ, როგორ გამოგვივა...

გამოაკლდი შენს და-ძმებს, საძმოს, ნათესავ-მეზობლებს, რომლებიც დიდი გულისტკივილით გიგონებენ. ქვემო ქვალონის სკოლადამთავრებულმა უმაღლესი განათლება თბილისში მიიღე. შემდეგ შენს რაიონში მუშაობდი. სოფლის მეურნეობას უძღვებოდი. ყველგან გამორჩეული იყავი კაცურ–კაცობით, სინდის–ნამუსით, ადამიანებთან საუკეთესო ურთიერთობით, სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდი. გვიყვარდა შენთან ქეიფი, უბადლო თამადობა იცოდი, ფიზიკურად და სულიერად ლამაზი იყავი. გვეამაყებოდი, ოცნებობდი შენი ერთადერთი ვაჟი ბათა შენსავით უბოროტო, კეთილი და განათლებული ყოფილიყო, მალე აგისრულდება ჩანაფიქრიც, ბათუ სკოლას ამთავრებს და მალე სტუდენტი გახდება. შრომისმოყვარე და კეთილშობილია, ოჯახს დედასთან ერთად ადრე დავაჟკაცებული უძღვება.

16 მარტს 56 წლისა გახდი. ოჯახს მივულოცეთ ეს დღე, შენც გილოცავთ, დიდი მონატრებით. გჯეროდეს, არასოდეს დაგივიწყებთ, შენს შვილს გვერდით დავუდგებით, მარტოდ არ დავტოვებთ, თუმცა შენი მეუღლის შრომით ოჯახს არაფერი დაკლებია, ვაი, რომ შენ არა ხარ მათთან ერთად, არ გვეხმიანები, არ ბობოქრობ.

გვიყვარხარ, გეფერებით და გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას.

ნათელში გამყოფოს უფალმა.

***მეგობრები***

## კუკური ჩიტაია

ჩვენო კეთილო და საყვარელო ბაბუ! 18 მარტი შენი გარდაცვალების დღეა, ერთი წელიწადი გავიდა, რაც შენ ჩვენთან არა ხარ. რომ იცოდე, როგორ დაგვაკლდი, როგორ გვენატრება შენი მოფერება, შენი მზრუნველობა, შენთან ტკბილი საუბარი! თქვენთან მოსვლა გვიხაროდა, შენ და შურა ბებია გახარებულები გვხვდებოდით, გულში ჩაგვიკრავდით. თუ რაიმე ტკბილი და ლამაზი გქონდათ, ჩვენთვის ინახავდით, ჩვენზე ფიქრსა და ზრუნვაში ათენ-ალამებდით.

როგორ გიყვარდათ შენ და შურა ბებიას ერთმანეთი. თვალებში უყურებდით ერთმანეთს, ყველგან ერთად იყავით, ლხინსა და ჭირში, როგორ გვეცოდება შურა ბებია უშენოდ. დადის ჩუმად, მუდამ თვალცრემლიანი და სევდიანი, არაფერი ახარებს, სულ შენს ხსენებაშია.

ბაბუ, ძვირფასო! ჩვენ ვასრულებთ შენს დანაბარებს, კარგად ვსწავლობთ, კარგად ვიქცევით, გჯეროდეს, არასოდეს გავაკეთებთ შენს უნებურს. შენს თავს ვფიცავართ, შურა ბებიას არ მოვაკლებთ მზრუნველობასა და ყურადღებას, რითაც შეგვეძლება, შევუმსუბუქებთ დარდსა და წუხილს.

შენს საფლავზე ხშირად მოვდივართ, კვლავაც ვივლით და ყვავილებს მოგიტანთ. შენ ხომ ისინი ძალიან გიყვარდა? ყველას ახსოვხარ და თბილად გიგონებენ, წესიერი, პატიოსანი და კაცთმოყვარე ბაბუა გყავდათო, გვეუბნებიან.

ჩვენ ვამაყობთ შენით, საყვარელო ბაბუ! ვეფერებით ქვაზე დახატულ შენს ლამაზ სახეს.

მშვიდად განისვენე. შენი დანატოვარი ოჯახის წევრები შენ არასოდეს დაგივიწყებენ.

ღვთიური მადლი ეფინოს შენს მარადიულ სამყოფელს.

***შვილიშვილები და***
***შვილთაშვილები.***

## გოგი ბუკია

... წვიმის თქეშად დაღვრილი ცრემლი...

... გულის ფსკერიდან ამოხეთქილი მწარე ოხვრა...

... ხალით დამშვენებული ლოყა...

... საოცარი სილამაზე, ელეგანტური ჩაცმა... ოღონდ შენებური მიხვრამოხვრით, ტალანტით, იუმორით, ბოლომდე ვერ დავტკბით, ჩემო უკეთილშობილესო მეგობარო, გოგი!

გერონტი ხომ შენი ნათლობის სახელი იყო და გეძახდი, მახსოვს, როგორ უხაროდა ამაგდარ ნორა დეიდას. ო, გოგი, ამით გმოძღვრავდი ძალიან ახალგაზრდას, ნებიერად გაზრდილს. წარსულო, რამდენ სიხარულს მახსენებ, სულს, დამძიმებულ გულს მიფორიაქებ... ამ შფოთიან, საინტერესო სამყაროსთან ჭიდილს შენზე ფიქრები მიადვილებენ.

ჩემი მშობლების, ძმების გვერდით შენი და ლეილას ფოტოსურათი არ მომიცილებია, ჩემო გოგი. თქვენმა ცქერამ გადამარჩინა, მეგობარო, ამასაც თუ გადარჩენა ჰქვია... თქვენი „მიმღერე რამე“ მატკბობს...

რამდენჯერ გამომეცხადე წარსულის ტკბილი მოგონებებით... ვაგლახ, რომ სიზმარია... მგონია, ახლოს ხარ, ძალიან ახლოს... მეხმარება შენგან ნაბოძები წიგნი თუ წერილი... მაცოცხლებელი იუმორი–მსმენელთ სიცოცხლის წყურვილით რომ აღავსებდა...

მოციმციმე არითმია მაქვსო, იუმორით იტყოდი... გული გაგებით, სიყვარულით სავსე, შენი საოცრად თბილი აურა მომაკვდავსაც მოაბრუნებდა.

... უზადო ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედად დარჩი, ჩემო გოგი.

... დრო კრიალოსანზე ჩამოიმარცვლა...

... ოცნებით ნაფერებ ხსოვნას ფიქრი ამზეურებს!

... მესამედ დადგა 26 მარტი. სოფელს, სადაც შენი ბავშვობა და ვაჟკაცობა ახსოვს, ის ავადსახსენებელი დღეც არასოდეს დამავიწყდება. ამაოდ ებრძოდი სიკვდილს, უგულო ბატონს შენი დაფლეთილი გულით, ბოლო წუთამდე შენი უკვდავი იუმორით შემოგრჩა.

... ლამაზ სახეს სათნო ღიმილი გიმშვენებს თითქოს ყველაფერი გესმოდა, გესმის, ხედავ, ჩემო მიამიტო მეგობარო...

იცვლებოდი დროდადრო... გეჩქარებოდა... სამოთხის კარიბჭესთან დედმამა და უახლოესი ადამიანები დაგხვდებოდნენ, გოგი.

... მესამედ აყვავდნენ ვარდები და იები, სოფელს სურნელება მოედო... შენს საფლავზე ქარი სოფლის გრილ სუნთქვას ამოიტანს... შენს სურათს გულში ჩაიკრავს...



ცხოვრება თავისი გზით მიდის...

შენი ქვრივი, ნანი, შენზე ლოცულობს და შვილიშვილების ალერსში შენი ნაადრევად წასვლით დამკვიდრებულ სიცარიელეს ივსებს...

შენს ოდაბადეს სტუმრობენ და–ძმა დიდი ტატა და გოდერძი... ნაოცნებარი შვილი გიორგი, დედა-შვილები თამუნა, ტატა, გოგი... ეულად დარჩენილი მეგობრები იმედო, კახა, ვაჟა...

სიკვდილით სიცოცხლე არ მთავრდება.

...შენი სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავდა...

***ლირა ბასილაია***

## ლეილა წოწონავა

ადამიანის გარდაცვალება დიდ ტკივილს იწვევს, მაგრამ ორმაგად მტკივნეულია იმ ადამიანებთან განშორება, ვისი გაფაქიზებული მზრუნველობა და სიყვარული ძალუმად გითბობს სულსა და გულს.

დღეს ვიხსენებ ქალბატონს, რომელიც ჩემს არსებაში სითბოსთან, სიკეთესთან, სიცოცხლესთან და სიყვარულთან ასოცირდება. უიმისობას კი უსიცოცხლობა ჰქვია სახელად.

სამი წელი გავიდა, რაც საზოგადოებას ლეილა წოწონავა დააკლდა. ხობელებს ჯერაც არ განელებიათ მასთან განშორების ტკივილი. საზოგადოებასთან ურთიერთობამ და ღია კავშირებმა მისცა მას საშუალება, ზღვა სიყვარულით ეკვება ადამიანები და საღი აზროვნებისა და თვითკრიტიკულობის ზღვარზე დაეყენებინა, ჟურნალისტის ფუნქციაც ხომ ეს იყო...

უანგარო და თავდადებული, სიყვარულის მატარებელი დედა, მეგობარი, ახლობელი, სულის მესაიდუმლე ასეთი იყო ლეილა წოწონავა. აი, ვისი მონატრებაც გვდევს მუდმივად მის ახლობლებს და ვისთანაც განშორებით გამოწვეულ სიცარიელეს ვერ შეავსებს დრო.

გაზაფხული მოვიდა და გაზაფხულივით არ მიღიმის ჩემი ნათლია, რომელიც მთელი სიცოცხლე მათბობდა და ცხოვრებას მილამაზებდა. მიხაროდა მასთან სიახლოვე, ბედმა ტერიტორიულადაც დამაკავშირა მის ოჯახთან, მაგრამ საუბედუროდ არ დაგვცალდა, სიცოცხლით სავსე! სიცოცხლეს ეტრფოდა, ფიქრობდა მძიმე სენს დაამარცხებდა, მაგრამ ამაოდ... წავიდა ლამაზი, მოსიყვარულე დედა, ბებია, მეგობარი.



ხობის გაზეთის რედაქციაში მისი ადგილი თითქოს დაცარიელდაო, მაგრამ მისი სახელი არასოდეს დაავიწყდებათ, ხშირად ესიყვარულებიან, იგონებენ... მე ბედნიერი ვარ მისი ნათლული რომ ვიყავი.

აღდგომის დღესასწაულს გილოცავ ლეილა დეიდა, მიყვარხარ, მენატრებიბ არასოდეს დაგივიწყებ.

***მაკა კვარაცხელია.***

## თემურ (ტარიელ) აბშილავა



ძნელი ყოფილა ოჯახის წევრზე მოგონების დაწერა.

დრო მიდის... ჩემთვის უსაშველოდ ნელა ბრუნავს წუთისოფელი.

ყველგან გაზაფხული ნავარდობს. ირგვლივ სიცოცხლის გაგრძელების სასიამოვნო სურნელი, სილამაზე და ხალისია. ჩემს სულში კი დარდისა და ცრემლების წვიმაა... ორმაგი ტკივილით ვიხსენებ მარადისობაში მიძინებულ ერთგულ მეუღლეს, შვილების მოსიყვარულე მამას, შეუდარებელ ვაჟკაცს–თემურ (ტარიელ) ბიბის ძე აბშილავას.

ძნელია ილაპარაკო წარსულ დროში ადამიანზე, რომელიც უყვარდათ და აფასებდნენ, სჯეროდათ მისი ვაჟკაცობის, გულწრფელობისა და ერთგულების.

ოჯახს ბურჯი წაექცა, კერია განელდა. შენს გულდათუთქულ დედას თვალებზე ცრემლი არ შეშრობია, მე დღეები დარდად და ვარამად გადამექცა. ენატრებით შენს შვილებს–თიკოს, თეოსა და მათეს. მათ შენი მზრუნველობა, მოფერება და ალერსი აკლიათ. შენი იმედი, პატარა მათე, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას რომ ახედავს ასე ლუღლუღებს: ღმერთო, ჩემი მამიკო ჩამომიგდეო...

რა ულმობელია წუთისოფელი. შენ ხომ სიცოცხლე გწყუროდა. ყველგან და ყოველთვის სიკეთესა და სიყვარულს თესავდი. ბუნებით ოპტიმისტს გჯეროდა ნათელი მომავლისა, მაგრამ ვაი, რომ უკურნებელმა სენმა გძლია და სრულიად ახალგაზრდას 45 წლის ასაკში მოგისწრაფა ხალისიანი სიცოცხლე. 6 თვე მამაცურად ებრძოდი სიკვდილს, თავს დაგტრიალებდნენ ექიმები, შენი მეგობრები, მაგრამ ვაი, რომ 2008 წლის 18 მარტს სამუდამოდ დახუჭე თვალები.

ყველას ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, შვილების კეთილდღეობას გევედრებიან შენი დები–ქეთინო და ლუიზა. შენს დავალებებს პირნათლად ასრულებენ შენი დისშვილები: ჯონი, რუსლანი და რომანი. ისინი მხარში მიდგანან, როგორც უმცროსი ძმები და მეხმარებიან შენი შვილების აღზრდაში. ყველგან და ყოველთვის ვგრძნობ შენი მეგობრების მხარდაჭერასაც; შენ ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ მათ გულში.

საოცრად მამშვიდებს სიზმარში შენი ხილვა. შენ ხომ მუდამ ჩემთან იქნები. მე ძლიერი ვარ შენით, რადგან ვზრდი და ვესათუთები ჩვენს სამ შვილს.

ჩემო ძვირფასო, სილაღე დავკარგე უშენობით, მაგრამ შენმა დაკარგვამ გამძლეობა და ბრძოლა მასწავლა. ჩემს არსებაში შენდამი დიდი სიყვარული და მონატრება არასოდეს განელდება. ყველა ფიქრი, დარდი და ოცნება ისევ შენ გიკავშირდება: შენს სიკვდილს ვერასოდეს ვერ შევეგუები.

ბედისწერისაგან გამეტებულს ვერ დაგივიწყებთ. ორი ტკივილიანი წელიწადი გაილია უშენოდ, მაგრამ გპირდები–შენს საფლავს არასოდეს მოაკლდება ახალ-ახალი ყვავილები, ხოლო შენს გზას, სასუფევლისაკენ მიმავალს, მუდამ გაგინათებს ჩემს მიერ ანთებული წმინდა სანთლები!.

***მეუღლე***
***მანონი ხარჩილავა.***

## ვიტალი ბუკია

ოთხი ტკივილიანი წელი გავიდა უშენოდ, ჩემო ერთადერთო ვაჟკაცო, ლომგულა ბიჭო, ისე გაიზარდე შენს დასთან ერთად, შენს ავადმყოფობაზე არასოდეს დამიჩივლია. ტყე და ღრეს ეჭიდებოდი, მუხლჩაუხრელად შრომით ჭაპანს ეზიდებოდი, მამაშენის შემდეგ ოჯახს რომ გაძღოლოდი...

ახალგაზრდობაში განგებამ დაგჩაგრა შვილო. გული მწარედ დაგწყვიტა. დიდი უბედურება დაგატყდა თავს. შენი პატარა, 5 ნახევარი წლის იკა ხელიდან გამოგეცალა. ეს სიკვდილის ტოლფასი იყო შენთვის. გაუხარელ მამას შავები არასოდეს გაგიხდია და სამარეშიც შავებით გამოწყობილი გაგამგზავრეთ.

შვილო, განგებამ დიდი ტკივილის შემდეგ კვლავ გაჩუქა ვაჟი, მტკივან გულს შენი ორი ვაჟი მარლენი და გოჩა ათბობდა. გადიოდა წლები, ოჯახს პატარა იკა მოევლინა, უფროსი ვაჟიშვილის შვილი. გული მოგილბო. ელოლიავებოდი, ეთაყვანებოდი, ორი იკას სიყვარულით გიყვარდა პატარა, მაგრამ... შენმა გულმა ალბათ მეტს ვერ გაუძლო, საღ-სალამათი, 51 წლის კაცი უეცრად გამოეცალე ოჯახს. მწუხარებით დაჩაგრული ოჯახი კვლავ ძაძებმა მოიცვა...

ცხოვრება გრძელდება, შვილო. მეორე ვაჟიშვილიც დაცოლშვილდა. ახლა შენი მოსახელე პატარა ვიტალი დააბიჯებს შენს ეზოში იკასთან ერთად. რძლები კარგები არიან, შენი მაყვალა ძველებურად ეჭიდება ოჯახის ჭაპანს, შენი დის ოჯახშიც ცხოვრება დროის შესაფერისად გრძელდება... მე, ნუ იტყვი, გადააადგილება მიჭირს და ორი ხელჯოხით ძლივს დავდივარ...



შვილო, ვიტალი, ველოდები იმ დღეს, როცა განგების ძალით შენთან და მამაშენთან შევძლებ შეხვედრას.

როგორ მენატრები, ენატრები ყველას, შენთან კინკლაობაც მომნატრებია, შვილო, ჩემო დაჩაგრულო და ადრეწასულო ბიჭო.

ღმერთს ვევედრები ნათელში ამყოფოს შენი სული.

***დინარ ბუკია,***
***შენი მონატრებული დედა.***

# დამსხვრეული ოცნება



## ვუძღვნი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული მიხეილ იოსავას ხსოვნას

აგვისტოს ერთი ჩვეულებრივი დილა თენდებოდა, ჩიტები საამოდ ჟღურტულებდნენ. ჰაერი ჯერ კიდევ არ იყო დენთის სუნით გაჟღენთილი, მაგრამ ყურს თუ დაუგდებდით, შეამჩნევდით, რომ მიწა ბორგავდა, უჩვეულოდ ბორგავდა...

კიდევ ერთხელ შემოჰკრა დედოზარმა, რომელმაც უკვე მერამდენედ შესძრა სრულიად საქართველო, სამშობლო კიდევ ერთხელ უხმობდა საკუთარ შვილებს და რა გასაკვირია, ფეხზე დამდგარიყო ქართული სისხლი და გენი.

ერთი ჩვეულებრივი ოჯახისათვის ეს დღე საბედისწეროდ გათენდა. ამაყი ჭაბუკი სამშობლოზე ფიქრს შეეპყრო, მის ძარღვებშიც ხომ წინაპართა ამაყი სისხლი ჩქეფდა. დედისაგან ლოცვა მიიღო და პირველივე შესაძლებლობისთანავე გასწია სენაკის სამხედრო ბაზისაკენ. მას მშობლები აცილებდნენ... მისი ფიქრები სამშობლოს დასტრიალებდა თავს: „იმედია თავის წილხვედრ ქვეყანას არ გასწირავს ღვთისმშობელი. საქართველო ხომ სამოთხეა, სადაც წმინდანთა სული დაჰქრის. აქ მზეც სხვანაირად აცხუნებს და ფოთლებიც სხვაგვარად შრიალებენ. სამშობლო ჟანგბადია, რომლითაც ვსუნთქავთ, წყალია, რომელსაც ვსვამთ, საზრდოა, რომლითაც ვიკვებებით. ის ხომ რუსთაველის სამშობლოცაა“.

ფიქრები დაუმძიმდა ჭაბუკს: „რატომ არის ცხოვრება ჩვენს მიმართ ასეთი მკაცრი? ამას ხომ მრავალგზის ადასტურებს ჩვენი სისხლით ნაწერი დედაისტორია, რა უნდა ჰქონდეს ორ მართლმადიდებელ ქვეყანას გასაყოფი? ან საერთოდ. რატომ გაჩნდა ადამინთა ასეთი ურთიერთსიძულვილი, რა არის ომი? ომი–სრულიად უბრალო, სულ სამად სამი ასოსაგან შემდგარი სიტყვაა და რამდენ ბოროტებას შეიცავს, ის ხომ უბედურების სათავეა, საიდანაც ტიბრის ჩანჩქერივით გადმოსჩქეფს ბოროტება, ზიზღი, სიძულვილი, რომლებიც ცრემლისა და სისხლის ხარჯზე იკაფავენ გზას, თუმცა ომსაც აქვს დადებითი მხარეები, რომ არა ომი, არ იქნებოდნენ ის საამაყო გმირები, რომელთა მხრებზეც დგას დედამიწა. ომი შობს გმირებს, იმპერიებს, ლეგენდებსა თუ თქმულებებს, რომლებიც შემდეგში მკითხველის ცნობიერებას აღრმავებს. საკუთარ თავზე გაეცინა. მასაც ხომ გმირობა სურდა, ფიქრებში ჩაძირული მამამ გამოაფხიზლა, მოვედით შვილოო, უთხრა, გულში ჩაიკრა, გზა დაულოცა და დაშორდა... ვაი, რომ სამუდამოდ...

სამხედრო ბაზაზე იარაღს არიგებდნენ და საბრძოლველად გაყავდათ, მის რიგს მოუთმენლად ელოდა, და უცებ... მიწამ რყევა დაიწყო, გაისმა საშინელი დაბომბვის ხმა, ერთმანეთში აირია ყვირილი, კვნესა, ხრიალი... ყველაფერი ეს წამებში მოხდა, ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, ჰაი, დედასა, იარაღი მაინც მქონოდა! და, ისევ საშინელი დარტყმა, სამყარო ბნელემა მოიცვა...

თურმე შეიძლება გმირობაზე მეოცნებესაც აღმოხდეს სული, ვგლახ, რა უაზროდ დასრულდა სიცოცხლე...

თვალთ ბინდი გადაეკრა, სხეულში სიცივე შეეპარა. ბაგეზე ღიმილმა გადაურბინა, თვალები ზეცად ალაპყრო... ზევით, სულ ზევით ზეცის კარი იღებოდა და სასუფევლის კარიბჭესთან ანგელოზთა დასი ხელგაშლილი ეგებებოდა...

როგორ მოვწმინდოთ ცრემლები თვალებს,
გვინდა ვემთხვიოთ შენს ნატერფალებს...
შენგან დალოცვილთ
ასეთი ბედი ღმერთმა აშოროთ.
დიდება დედებს,
ვინც შენისთანებს უზრდის სამშობლოს!..

***ბექა ლაშხია,***
***ახალი ხიბულის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე.***

# სპორტი

# წარმატებით იასპარეზეს

4–11 მარტს ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა კალათბურთში, რომელიც ხობის №1 საჯარო სკოლის დარბაზში გაიმართა.

ხობის №1 საჯარო სკოლის ჭაბუკებმა ყველა მეტოქე ადვილად დაამარცხეს და ღირსეულად გახდნენ ჩემპიონები. მეორე – ადგილი ახალი სოფლის ჭაბუკმა კალათბურთელებმა დაიკავეს, ხოლო მესამე ადგილი ჭალადიდელებს ერგოთ.

გოგონათა პირველობაშიც კვლავ ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა იმარჯვეს



და პირველი ადგილი დაიკავეს, მეორეზე ახალსოფლელი გოგონები გავიდნენ, ხოლო მესამე ადგილის მფლობელები კვლავ ჭალადიდელები გახდნენ.



ამ თამაშში გოგონები ძალზე აქტიურობდნენ. აღსანიშნავია მათი ბრძოლისუნარიანობა.

პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს სპეციალური თასები და სიგელები გადაეცათ.

შეჯიბრება დაფინანსებული და ორგანიზებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი ჯულიეტა ქვარაია) მიერ.

***ლევან ლემონჯავა***

# ციტრუსების დიეტა



დილას ფინჯანი ყავით იწყებთ? ეს მართლაც გემრიელი და სასიამოვნო სასმელია, მაგრამ მისი გამამხნევებელი ეფექტი, სამწუხაროდ, მალე გაივლის. აი, თუ რომელიმე ციტრუსის, ვთქვათ, ფორთოხლის ან გრეიპფრუტის წვენს დალევთ ყავის ნაცვლად, ან ციტრუსების სალათას მიირთმევთ, გაცილებით უკეთეს შედეგს მიიღებთ:

1) მხნეობა თითქმის მთელ დღეს გაგყვებათ;

2) მოგიწესრიგდებათ არტერიული წნევა;

3) გააქტიურდება კუჭ-ნაწლავის სისტემა;

4) უფლება გეძლევათ, საუზმეზე ერთი პატარა ნაჭერი ყველის ნაცვლად რამე უფრო გემრიელი კერძი მიირთვათ.

გახსოვდეთ: სალათების მომზადებისას არ მოაშოროთ ციტრუსს კანსა და რბილობს შორის მოთავსებული თეთრი ფენა. მას ლამაზი ლათინური სახელი – „ალბედო“ ჰქვია და გაცილებით მეტ ვიტამინებს შეიცავს, ვიდრე რბილობი, მათ შორის ბიოფლავონოიდებს, რომელიც ააქტიურებს ორგანიზმს სხვადასხვა სახის ალერგიებთან საბრძოლველად და აუცილებელია სისხლნაკლებობისა და ჰიპერტონიის დროს.

მანდარინი ყოველთვის იწვევს ჩვენში დღესასწაულის ასოციაციას. მისი რბილობი შეიცავს ლიმონის მჟავას, პექტინებს, გლიკოზიდებს, მინერალურ მარილებს, ეთერზეთებს, პროვიტამინებს ვიტამინებს და კაროტინს.

გრეიპრფრუტს, ყველა ვიტამინთან ერთად, რასაც მანდარინი შეიცავს, აქვს ერთგვარი სიმწარე, რომელიც მიეკუთვნება ბიოფლავონოიდების ჯგუფს და ხელს უწყობს სისხლძარღვების ელასტიკურობას.

ლიმონი უნიკალურია იმით, რომ მასში შემავალ ც ვიტამინთან ერთად ის შეიცავს ვიტამინსაც, რომელსაც „შორსმჭვრეტელობის“ ვიტამინს უწოდებენ. ლიმონი აძლიერებს სისხლძარღვებს, თავიდან გვაცილებს ინსულტს, ინფარქტსა და ვენების ვარიკოზულ გაგანიერებას.

ფორთოხალი შეიცავს დიდი რაოდენობით ასკორბინის მჟავას, მდიდარია ბეტა-კაროტინით (რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია გულის მუშაობისთვის), კალიუმითა და პექტინით, რომელიც ხელს უწყობს საჭმლის მონელებასა და ტოქსინების ორგანიზმიდან გამოდევნის გააქტიურებას.

ცნობისათვის: ციტრუსებში დიდი ხნის განმავლობაში შესანიშნავად ინახება ვიტამინები. თუ გსურთ, რომ ციტრუსმა დიდხანს გაძლოს, შეინახეთ ის პლუს 7 გრადუს ტემპერატურაზე, ტენიან ადგილას.

* გრეიპფრუტის მკაცრი დიეტა ეკრძალებათ მათ, ვისაც აწუხებს ვარიკოზი და ტრომფობლებიტი.

* თუ ჭამის წინ დალევთ 1 ჩაის ჭიქა ლიმონიან წყალს, გაგიუმჯობესდებათ კუჭ-ნაწლავის მოქმედება, ნეიტრალიზდება მავნე ქოლესტერინი, იწმინდება ღვიძლი და გამოიდევნება წიდები.

ჯადოსნური სასმელი – ჰიდრომელი, რომელიც ამაგრებს იმუნიტეტს და ნერვულ სისტემასაც აწესრიგებს, მზადდება მარტივად: 1 ჩაის ჭიქა თბილ წყალში ჩააწურეთ ერთი ცალი ლიმონი, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი და მოურიეთ. დალიეთ უზმოზე, ერთი თვის განმავლობაში. შედეგს ორი კვირის შემდეგ იგრძნობთ.

რაც შეეხება ციტრუსის დიეტის რეჟიმს: გაანაწილეთ დღე ოთხჯერად კვებაზე:

დილით, უზმოზე მიირთვით 1 ჩაის ჭიქა ლიმონიანი წყალი, 15 წუთის შემდეგ – 100 გრამი რძის პროდუქტი.

მეორე კვება – 1 ჩაის ჭიქა გრეიპფრუტის წვენი, 15 წუთის შემდეგ 100 გრამი ბოსტნეული (ნებისმიერი სახით);

მესამე კვება: 1 ჩაის ჭიქა ფორთოხლის წვენი, 15 წუთის შემდეგ 100 გრამი მოხარშული ხორცი ან თევზი;

მეოთხე კვება – 200-250 გრამი ციტრუსების სალათა.

**თამრიკო ზამთარაძე**

# ატმისა და ნუშის ყვავილობისას

გაზაფხულის ძალუმი სუნთქვა იგრძნობა ყველგან–მიწაზეც და ზეცაშიც, ყველა სულიერს გული სიხარულით უჩქროლავს, თეთრ კაბაში გამოწყობილი პატარძალივით აფეთქებულან ატმისა და ნუშის რტოები, ნაირ-ნაირ ფრინველთა საამური გალობა ატკბობს ადამინთა სმენას.

წელიწადის ამ დროს, როგორც წესი, ვიხსენებთ და პატივს მივაგებთ იმ ადამიანების ხსოვნას, ვინც წლების განმავლობაში გვიმაღლებდა პროფესიული ცოდნისა და ოსტატობის დონეს, შემოქმედებით დამოკიდებულებას საქმისადმი, კომუნიკაბელურობას, თანამშრომლობის კულტურას, მოსწავლეთა აკადემიური მოტივაციის ამაღლებას, მომავალი თაობის სწორად აღზრდას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და რაც მთავარია, ერთმანეთის პატივისცემასა და სიყვარულს, უპირველესად კი სამშობლო მიწის ერთგულ სამსახურს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც გამოირჩეოდნენ ზნეობით, ინტელექტით, სულიერებით, ავტორიტეტით, მომთხოვნელობითა და პრინციპულობით.

საოცრად სწრაფმავალია დრო, იგი ჩუმი შრიალით აცლის ცხოვრების შარას თითოეული ადამიანის ნაკვალევს. თუ ეს ნაბიჯი სუსტია, კაცობრიობას არ სურს შემოინახოს მათი სახელები, არდავიწყება კი უკვდავთა ხვედრია მხოლოდ.

წარსული ბევრი რამის მთქმელია. ამ პატარა წერილში მინდა მოვიგონო ჩემთვის ძვირფასი ადამიანები:

ქალბატონები: ალექსანდრა (საშა) ბერაია, თამარ ჩაგვავა. ბატონები–ანტონ გოგია, არკადი წურწუმია (დღესაც ჩემს სოფელში, ხორგაში მოკრძალებითა და მოწიწებით იხსენიებენ მას „ჩვენს დირექტორად“). მამია კვარაცხელია, რომლებიც განათლების სისტემის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ.

თავს უფლება მივეცი გამეხსენებინა ეს ბუმბერაზი ადამიანები.

თუ ჩემში რამე კარგი არის, ეს მათი დამსახურებაა. 15 წელიწადი სკოლის დირექტორი ვიყავი, მათ გვერდით ვმუშაობდი. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რადგან ისინი ყოველმხრივ მისაბაძნი იყვნენ: მოყვასის სიყვარულით, პროფესიული ცოდნით, კოლეგებთან ურთიერთობებით, ჰუმანურობით.

დიდება მათ ხსოვნას! მათ სახელებს სამარადისოდ შეინახავს რაიონის საზოგადოება.

მტკიცედ მწამს, რომ მათი ცხოვრების შინაარსს ხალხისა და მომავალი თაობის აღზრდის სამსახური შეადგენდა.

ღვთისმშობლის მადლი ამკობდეს მათ საფლავებს!

***ნაირა ბერაია***

# „ხობის არქივის“ მომსახურება სწრაფი და კომფორტული გახდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაინერგა მოქალაქეთა მომსახურების ელექტრული სისტემა. ამ პროგრამის დანერგვით ეროვნულ არქივში მოქალაქეთა მომსახურება კიდევ უფრო სწრაფი და კომფორტული გახდა. სპეციალური პროგრამა მოქალაქეებს უმარტივებს პასუხის მიღებას და მნიშვნელოვნად აჩქარებს დოკუმენტის მოძიების შიდაპროცედურებს.

არქივში სხვადასხვა სახის მომსახურების მისაღებად მისულ მოქალაქეს განცხადების ხელით შევსება და პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა აღარ დასჭირდება. მათ მოთხოვნას მოქალაქეთა მისაღების თანამშრომლები ელექტრულ პროგრამაში თავად არეგისტრირებენ. ამასთან, მომსახურების პროგრამას წვდომა აქვს სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან, საიდანაც პიროვნების სარეგისტრაციო მონაცემების თაობაზე ინფორმაციას იღებს. მომსახურების ელექტრონული პროგრამით ამ დროისათვის სარგებლობს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ადგილობრივი არქივების 90%-ზე მეტი. ამ სისტემაში, ეტაპობრივად, ეროვნული არქივის ყველა ადგილობრივი ოფისი ჩაერთვება და ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით საქართველოს ნებისმიერ რაიონში მოქალაქეს ამ რაიონში ჩაუსვლელად შეეძლება მიიღოს მისთვის საჭირო ცნობა.

მიმდინარე წლის 11 მარტიდან, ხობის არქივი ჩაერთო მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონულ სისტემაში. ამრიგად, რაიონის მოსახლეობას შეუძლია რაიონიდან გაუსვლელად ხობის არქივში მიიღოს საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან საჭირო საარქივო ცნობა.

საქართველოს კანონით „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ მოქალაქეთა მომსახურებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის შეღავათები. გამომდინარე აქედან, მოქალაქეებს, რომლებიც მობრძანდებიან ხობის არქივში, ვთხოვთ მოქალაქეთა მისაღებ ოთახში მომსახურების საფასურის გადახდის წესსა და პირობებს ყურადღებით გაეცნონ.

***კობა კობახიძე,***
***ტერიტორიული ორგანო „ხობის არქივის“ დირექტორი.***

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
დამფუძნებელი: *ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*
„ახალი საკმუთხედის“ გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
დირექტორი *ბეჟან ნადარაია*
მორიგე რედაქტორი
*ნანი კილასონია*
პასუხისმგებელი მდივანი
*მერი ლაგვილავა*
ფოტორეპორტიორი
*ირაკლი შონია*
დამკაბადონებელი
*ჯულიეტა ლატარია*
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1
ტელ: 8 (214) 2-21-13; (879) 72-61-72
გამოდის კვირაში ერთხელ
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბე“-ში
დაიბეჭდა შ.პ.ს. „მ.ვ.პ.“
გამომცემლობა „კოლორში“
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20